დანართი 2. საპროექტო იდეების განაცხადის ფორმა

EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

ქვემოთ მოცემული განაცხადის ფორმა უნდა შეივსოს, საპროექტო იდეის წარდგენის წესების, პირობების, შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა მინიჭების სქემის შესაბამისად. მითითებები მოცემულია დახრილი შრიფტით, რაც უნდა წაიშალოს განაცხადის შევსებისას.
განმცხადებლის მიმართ შესაძლებელია გაჩნდეს დამატებითი კითხვებისა და ადგილზე ვიზიტების საჭიროება.

ზოგადი ინფორმაცია	
საპროექტო იდეის წარმდგენი	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია
საკონტაქტო პირი	ჩიტიძე უჩა - მერის თანაშემწე საერთაშორისო და საგრანტო პროექტების მოძიებისა და ადმინისტრირების მიმართულებით. E-mail: ucha.chitidze@tkibuli.gov.ge ტელ.: +995 555 97 42 13
CESL-ის საპროექტო პრიორიტეტული მიმართულება	საპროექტო იდეა ძირითადად ურბანულ განახლებაზეა ორიენტირებული
CESL-ის სხვა პრიორიტეტული მიმართულება(ები)	გარდა ურბანული განახლებისა საპროექტო იდეა, ასევე ეხმაურება CESL -ის პროგრამის სხვა ორ პრიორიტეტულ მიმართულებას, კერძოდ: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობასა და შემოსავლებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას.
პროექტის სახელწოდება	ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა
პროექტის მოკლე აღწერა	ქალაქ ტყიბულის სამხატვრო სკოლა მდიდარი კულტურისა და გამოცდილების მქონე საგანმანათლებლო კერაა, რომელიც ტყიბულში ხელოვნების განვითარების კუთხით ათწლეულებია მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა. სამხატვრო სკოლის წარმატებულ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად სკოლის კურსდამთავრებულები საკმაოდ დიდი კონკურენციის პირობებში ახერხებენ სამხატვრო აკადემიაში და სხვა პრესტიჟულ სასწავლებლებში ჩაბარებას და იქ აღნიშნული მიმართულებით კარიერის გაგრძელებას. დღეისათვის სამხატვრო სკოლას 100-მდე ბენეფიციარი ჰყავს, რომლებიც ეუფლებიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებს (სახვითი ხელოვნება: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნება: კერამიკა, ვიტრაჟი, თექაზე ქსოვა, ბატიკა, გობელენი, ხალიჩა). სამხატვრო სკოლას ჰყავს შესაბამისი დარგების მცოდნე 7 კვალიფიციური პედაგოგი. სამხატვრო სკოლაზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია, თუმცა სკოლა განვითარების კუთხით გამოწვევების წინაშეა. ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრის მოწყობის პროექტი სწორედ აღნიშნული გამოწვევების დაძლევისკენაა მიმართული. პროექტის ფარგლებში მოხდება სამხატვრო სკოლისთვის გამოყოფილი სივრცის (ქუთაისის ქუჩა N4-ში მდებარე შენობა) სრული რეაბილიტაცია და იქ მულტიფუნქციური დატვირთვის ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის შექმნა. წარსულში სამხატვრო სკოლა სწორედ აღნიშნულ შენობაში იყო განთავსებული. შესაბამისად, პროექტის მნიშვნელოვანი ასპექტია გამორჩეული არქიტექტურის მქონე შენობისათვის მისი ძველი ფუნქციის დაბრუნება. პროექტის განხორციელების შედეგად ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა გარდა ტრადიციული სამხატვრო მიმდინარეობისა, ახალი ფუნქციითაც დაიტვირთება და

ზოგადი ინფორმაცია	
	ახალგაზრდებს მულტიფუნქციურ, ინოვაციურ სივრცეს შესთავაზებს განვითარებისათვის. ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლისთვის გამოყოფილი შენობა მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რომლის კეთილმოწყობაც ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წ.წ რეგენერაციის გეგმის სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა. ტყიბულის განახლებული ცენტრალური ისტორიული უბანი მოსახლეობისა და ვიზიტორთათვის მიზიდვის კერად იქცევა, ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის აღნიშნულ სივრცეში განთავსება კი პროექტს მეტ სიცოცხლისუნარიანობას შესძენს. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორია ყოფილი საბაგიროს შენობის მიმდებარედაა განთავსებული. შორეულ პერსპექტივაში იგეგმება საბაგიროს რევიტალიზაცია და მისთვის ძველი ფუნქციის დაბრუნება. ამ მიზნით კურორტ ცხრაწყაროს განაშენიანების რეგულირების გენერალური გეგმა უკვე შემუშავებულია. და არსებობს ინვესტორთა მზარდი რაოდენობაც. საბაგიროს აღდგენის შემთხვევაში მიმდებარე სივრცე მთლიანად განახლდება და მრავალი ფუნქციით დაიტვირთება. ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის აღნიშნულ ლოკაციაზე განთავსება კი ცენტრს სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. რადგან საბაგიროს ამოქმედების შემთხვევაში ტერიტორია საზოგადოებრივი თავშეყრის მნიშვნელოვანი კერა გახდება, სადაც ერთ სივრცეში იქნება წარმოდგენილი რეკრეაციული, კომერციული, ტურისტული დანიშნულების ადგილები. ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი კი აღნიშნული ურბანული კონტექსტის შემავსებელი იქნება, რომელსაც ვიზიტორთა ნაკადი არ მოაკლდება. ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის მიზანია ახალგაზრდებს მისცეს ფართო ცოდნა სახვით ხელოვნებაში კერამიკა, ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებაში და სხვა. რათა, ახალგაზრდამ კრიტიკულად გაიაზროს ვიზუალური ხელოვნების სფეროში არსებული მიმდინარეობები და ტენდენციები, შეძლოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის პროგრამები უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე და სახელოვნებო სფეროში კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ხელოვანების და სპეციალისტების მომზადებას. შენობის 641.7 კვ.მ (მათ შორის I სართული 321.9; II 319.8 კვ.მ) სივრცის რეაბილიტაციის შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს არსებულ სასწავლო პროგრამებზე მსურველთა რაოდენობის ზრდას, ახალი სასწავლო პროგრამების დამატებას, ისეთი როგორიც გახლავთ გრაფიკული დიზაინი, ტიხრული მინანქრის სწავლება, არტ-თერაპიის კურსის დანერგვა. სკოლა მონაწილეობას მიიღებს გამოფენებში, მათ შორის ჩაატარებს მასტერ კლასებს და ამისთვის მოიწვევს პროფესორებს, წარმატებულ ხელოვანებს და გალერისტებს. სკოლის მოსწავლეები მოხალისეობრივი ინიციატივების საფუძველზე ჩაუტარებენ გაკვეთილებს უფროსი ასაკის (დაინტერესებულ) მოქალაქეებს. სკოლაში განთავსებული იქნება ინოვაციების სივრცე, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ დაინტერესებულ ჯგუფებს შეუფერხებლად მიიღონ ცოდნა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით. ინოვაციების სივრცე შექმნის შესაბამის პირობებს, რომელიც ორიენტირებული იქნება ტყიბულის როგორც ახალგაზრდების, ასევე უფროსებითვის ტრენინგებისა და სხვადასხვა ინფორმაციული აქტივობების ჩასატარებლად. ინოვაციების ცენტრში ჩატარდება კომპიუტერული გრაფიკისა და ვიზუალური ეფექტების შემსწავლელი, ვებ-გვერდების, ანიმაციური ვიდეობის შექმნის შესახებ კურსები. ინოვაციების სივრცის განვითარება მოხდება ადგილობრივი

ზოგადი ინფორმაცია	
	არასამთავრობო ორგანიზაციის ა(ა)იპ „ტყიბულის რეგიონული განვითარების ფონდთან“ თანამშრომლობით, რომელიც ასევე უზრუნველყოფს STEM კლუბის, ფუნქციონირებას აღნიშნულ სივრცეში. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ მუნიციპალიტეტი საპროექტო იდეას განახორციელებს პარტნიორიების მხარდაჭერით, რომლებიც წარმოადგენენ როგორც კერძო, ასევე სამოქალაქო სექტორს. კერძოდ ა(ა)იპ ტყიბულის რეგიონული განვითარების ცენტრი და შპს „საქნახშირი“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან, აღნიშნულ პროექტში თანამონაწილეობის სახით 10 000 ლარის ღირებულების ინვენტარს შეიძენს ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლისთვის. უფრო კონკრეტულად აღნიშნული თანხით მოხდება კერამიკული წისქვილის (1 ერთეული), ვალცის აპარატის (1 ერთეული), მოლბერტებისა (15 ცალი) და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა (3 ცალი). ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის მოწყობის პროექტის დეტალური ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი უკვე მომზადებულია, სივრცის რეაბილიტაციისთვის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 545 000 ლარს (დღგ-ს ჩათვლით) პროექტის განხორციელების პერიოდი - 8 თვე.

პროექტის შინაარსი	
საპროექტო ჯგუფი	საპროექტო ჯგუფი დაკომპლექტებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 ივნისის №74. 742317812 ბრძანების *(იხ. დანართი #1)* საფუძველზე: 1. **დავით ჩერქეზიშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი; 2. **გიორგი ლომთაძე**- ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე; 3. **თეიმურაზ ცქიფურიშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი; 4. **ზაზა ზოსიაშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი; 5. **ზაზა გოჩელაშვილი** - არასამთავრობო ორგანიზაციის „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი“(TDDF) ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი; 6. **ლუიზა ლაფერაძე** - სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი. 7. **უჩა ჩიტიძე** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე საერთაშორისო და საგრანტო პროექტების მოძიებასა და ადმინისტრირების მიმართულებით, სამუშაო ჯგუფის წევრი; 8. **თეა არსენიძე** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), სამუშაო ჯგუფის მდივანი; 9. **თინათინ ცქიფურიშვილი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სამუშაო ჯგუფის წევრი; 10. **გოჩა კანკია** - ინდივიდუალური მეწარმე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

პროექტის შინაარსი	
	11. მაია ბრეგაძე - შპს "და-ნი"-ს დირექტორი, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი.
დასაბუთება	არსებული პროექტის განხორციელება საჭირო და მნიშვნელოვანია რადგან: • სამხატვრო სკოლას არ გააჩნია ცალკე განკუთვნილი სივრცე და დღეისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის შენობაშია განთავსებული. ეს, ერთი მხრივ, საკუთრივ სკოლის განვითარებისთვის შემაფერხებელი ფაქტორია, მეორე მხრივ, კი თეატრს საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით სივრცის გამოყენების საშუალებას უზღუდავს. • დღეისათვის სამხატვრო სკოლას არ გააჩნია საკმარისი სივრცე, რათა მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე მოხდეს დამატებითი სასწავლო ჯგუფების დამატება. ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი თითქმის გაორმაგებს პოტენციურ ბენეფიციართა რაოდენობას (თუ დღეისათვის სკოლას 100 მოსწავლე ყავს, ახალ, რეაბილიტირებულ შენობაში შესაძლებელი იქნება 200-მდე მოსწავლის განთავსება). სივრცის ნაკლებობა უარყოფითად აისახება სწავლების პროცესზეც. კერძოდ, არსებულ სამხატვრო სკოლაში მთელი სივრცე მოსწავლეთა რაოდენობის განთავსებაზეა ორიენტირებული, შესაბამისად სამხატვრო სკოლაში აღარ რჩება ადგილი კერამიკული წისქვილის ოთახის, ქანდაკების სახელოსნოსა და საგამოფენო დარბაზისთვის. ახალ, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლაში აღნიშნული საკითხი მოგვარდება. • ქალაქიდან მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდების მასიური გადინების ფონზე, საჭიროა განხორციელდეს მულტიფუნქციური დატვირთვის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტები. აღსანიშნავია, რომ მომავალი ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის შენობა გამორჩეულია მისი არქიტექტურით, რომელიც თავის დროზე გერმანელების მიერ არის დაპროექტებული. სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში შენობა ახალ სიცოცხლეს შეიძენს და იქ მოწყობილი ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი ქალაქის ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახდება. • საპროექტო განაცხადი უპირველესად ურბანული განახლების პრიორიტეტის ჩარჩოში თავსდება, რაც აღნიშნული პროექტის შემთხვევაში ნიშნავს ტყიბულის ცენტრალურ ნაწილში ტურისტებისათვის მიმზიდველ ლოკაციაზე მოძველებული ინფრასტრუქტურის რევიტალიზაციას და მისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებას. აღნიშნული შენობა გერმანელების მიერ აშენებულ უბანში მდებარეობს და გამორჩეულია საკუთარი უნიკალური არქიტექტურით. რამდენადაც პროექტი შენობის სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს, ურბანული განახლების კუთხით იგი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რეაბილიტირებული შენობა სრულად იქნება ადაპტირებული. შედეგად, ისეთ მოწყვლად ჯგუფს როგორც შშმ პირები არიან თავისუფლად შეეძლებათ გახდნენ ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრის ბენეფიციარები. რაც მათი (განსაკუთრებით ახალგაზრდების) სოციალიზაციის საკითხში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. • დღეისათვის ქალაქში არ არსებობს საგამოფენო სივრცე, რომლითაც ისარგებლებენ როგორც სამხატვრო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, ისე ქალაქის შემოქმედებითი წრის წარმომადგენლები. • პროექტის შედეგად მოწყობილი ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი იქნება ერთგვარი ჰაბი, რომელიც ერთ ფიზიკურ სივრცეში დაიტევს შემოქმედებით ინდუსტრიასა და ინოვაციურ იდეებს/ტექნოლოგიებს. აღნიშნული ცენტრი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცოდნას

პროექტის შინაარსი	
	ციფრული ტექნოლოგიების ინდუსტრიასთან გააერთიანებს. პროექტით მოწყობილი თანამედროვე სტანდარტების ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი სამხატვრო სკოლის მოსწავლეთათვის დანერგავს ინოვაციურ მიდგომას წამყვანი პროფესიების ათვისების შესაძლებლობის თვალსაზრისით. გამოიყოფა სპეციალური ოთახი, საჭირო ტექნიკით, სადაც სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს შეეძლებათ ფიზიკურად შესრულებული ნახატი, ესკიზი, დიზაინი კომპიუტერული პროგრამების წყალობით გააციფრულონ და შექმნან ღირებული პროდუქტი, რომელსაც მატერიალური სარგებელის მოტანა შეუძლია. გარდა ამისა, პროექტი ინოვაციების ნაწილში პროგრამული უზრუნველყოფის ოთახის მოწყობასაც გულისხმობს, სადაც მოხდება შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტის რეალიზაცია (საიტების შექმნა, აპლიკაციების დიზაინი, გრაფიკული ესკიზები, პროგრამული უზრუნველყოფა, ბანერები). აღნიშნული კომპონენტი პროექტს შემოსავლების გენერირების კუთხით თვითკმარს ხდის. რაც საკმაოდ რაციონალური მიდგომაა და შესაძლებელია, სხვა პროექტების დაგეგმვის დროსაც იქნას გამოყენებული. • აღნიშნულ სივრცეში მოსწავლეებს შეეძლებათ შეისწავლონ გრაფიკულ და ვექტორულ პროგრამებში (Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Adobe Indesign Adobe Flash) მუშაობა; სხვადასხვა ტიპის სირთულის კომპოზიციის შესრულება, ესკიზის გაკეთება, ინტერიერისა და ექსტერიერის, ტანსაცმლის დიზაინის კომპოზიციის შესრულება. პროექტის ძლიერი მხარეა ინოვაციურობა, რამდენადაც საქართველოს პოსტინდუსტრიულ რეგიონებში მსგავსი პროექტი ჯერ არ განხორციელებულა. წარმატების შემთხვევაში პროექტი იქნება ერთგვარი სანიმუშო მოდელი სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც მომავალში მსგავს ინიციატივას განახორციელებენ. • ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრში სამხატვრო სკოლის მოსწავლეების გარდა შესაძლებელი იქნება სპეციალური ჯგუფების ფორმირება ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიისთვის (მათ შორის, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების), რომელთაც საშუალება ექნება დაესწრონ სპეციალურ ვორქშოფებს, არტ-თერაპიისა თუ ნეიროგრაფიკის სემინარებს. • პროექტის ფარგლებში მოწყობილი სივრცე ტურისტებისათვის სასურველი დანიშნულების ადგილი იქნება, სადაც გარდა საგამოფენო დარბაზისა მათ შეეძლებათ სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების შეძენა. • წარმოდგენილი ინიციატივა საჯარო კონსულტაციების შედეგად იქნა გამოვლენილი, მათ შორის მოეწყო შეხვედრა ხელოვნების სკოლის პედაგოგებთან სადაც დასახელდა ასევე კრემიკური ჩარხის, გამოსაწვავი ღუმელის; თიხის დასამუშავებელი წისქვილის შეძენის საჭიროება. • აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინიციატივის განხორციელებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უკვე მომზადებულია. აღნიშნული პროექტი: სასურველი, განხორციელებადი და სიცოცხლისუნარიანია. ამიტომ დასრულების მომენტიდან მოგვცემს ხელშესახებ შედეგს. მას ბენეფიციართა ფართო კატეგორია ეყოლება. უფრო კონკრეტულად: ➢ დღეს არსებულ სამხატვრო სკოლას, რომელიც 100-მდე მოსწავლეს იტევს, შესაძლებლობა ექნება მზარდი მოთხოვნის პირობებში განახლებულ სივრცეში 200-მდე მოსწავლე მიიღოს. ➢ პროექტი ახალგაზრდებსა და დაინტერესებულ პირებს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს სხვადასხვა მხატვრულ დისციპლინებში

პროექტის შინაარსი	
	საგანმანათლებლო პროგრამების, ვორქშოფებისა და მენტორობის შესაძლებლობების შეთავაზებით. ➢ პროექტი ადგილობრივი არტისტებისთვის შექმნის სივრცეს, სადაც მათ საკუთარი ნამუშევრების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობის საშუალება ექნებათ. ➢ პროექტი მოიზიდავს ინოვატორებსა და მეწარმეებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელოვნებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ურთიერთკავშირით. ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა უზრუნველყოფს მათთვის შესაფერისი გარემოს მოწყობას, სადაც საშუალება ექნებათ წარმოაჩინონ და განავითარონ თავიანთი ინოვაციური იდეები. ➢ განხორციელებული პროექტით ისარგებლებენ ვიზიტორები და ტურისტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი ხელოვნებითა და კულტურით. ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის გამოფენები გააძლიერებს ადგილობრივ ტურისტულ შეთავაზებებს, მოიზიდავს ვიზიტორთა გაზრდილ რაოდენობას, რაც ადგილობრივი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას შეუწყობს ხელს. ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი მერიის ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის ("კულტურის ობიექტების გაერთიანება") დაქვემდებარებაში იქნება, შესაბამისად პროექტის ფუნქციონირება და მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით. გარდა ამისა, ორგანიზაციას სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშის, ხელნაკეთი ნამუშევრებისა და ტექნოლოგიური/ინტელექტუალური პროდუქციის რეალიზების საშუალება ექნება. მიღებული შემოსავლები კი ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრის განვითარებას მოხმარდება. შედეგად ცენტრი გარკვეული თვალსაზრისით, თვითკმარი გახდება და უფრო მეტად გაიზრდება პროექტის მდგრადობაც. **პროექტის განხორციელების შედეგად:** • სამხატვრო სკოლას მიეცემა განვითარების საშუალება და შეძლებს მზარდი მოთხოვნის პირობებში მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობის მიღებას • დღეისათვის მოძველებული საპროექტო შენობა რეაბილიტირებული იერსახით ქალაქის ცენტრალური ნაწილის კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურულ ფონს შექმნის; • ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი იქნება ერთგვარი ჰაბი, რომელიც ერთ ფიზიკურ სივრცეში დაიტევს შემოქმედებით ინდუსტრიასა და ინოვაციურ იდეებს/ტექნოლოგიებს; • მოხდება ურბანული მოსახლეობის სტაბილიზაცია და ახალი მოქალაქეების მოზიდვა; • გაიზრდება მუნიციპალიტეტის სოციალურ- ეკონომიკური და კულტურული როლი რეგიონში.
დაკავშირებული ინიციატივები	წარმოდგენილი საპროექტო იდეა არ წარმოადგენს რომელიმე პროექტის დასაწყისს ან გაგრძლებას, თუმცა ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის მოწყობის პროექტი თავსებადია მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ამოცანებთან და შესაბამის დაგეგმვის დოკუმენტებთან: 1. **ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023)** ამოცანა 1.1 მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ამოცანა 2.2 ტურიზმის სექტორის ხელშეწყობა

პროექტის შინაარსი	
	2. **ტყიბულის მუნიციპალიტეტის რეგენერაციის გეგმა (2022-2025 წწ.)** რეგენერაციის გეგმის სტრატეგიული მიზნად განისაზღვრა: ტყიბულის განახლებული ცენტრალური ისტორიული უბანი მიმზიდველი მოსახლეობისთვის და ვიზიტორებისთვის. მიზანი 2: ბიზნეს გარემოს ხელშეწყობა, ახალგაზრდებისათვის და ვიზიტორთათვის მიზიდულობის გაზრდა. გარდა ამისა პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში დაგეგმილია ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლისთვის გამოყოფილი შენობის მიმდებარედ არსებული ქუჩისა და საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, შესაბამისად აღნიშნული პროექტის განხორციელება საჭიროა არსებული სივრცის თანაზომიერი განვითარებისთვის.
პროექტის მიზნები	**პროექტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებია:** **მოკლევადიანი მიზნებია:** • ვიზუალური ხელოვნების და ინოვაციების სკოლის რეაბილიტაცია და მისი ფუნქციურად სრულად დატვირთვა; • მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოძველებული სივრცეების ათვისება, ურბანული რევიტალიზაცია; • ახალი სასწავლო პროგრამების ინტეგრირება; • სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. • ინოვაციების ცენტრის შექმნა და ფუნქციური დატვირთვა **გრძელვადიანი მიზნებია:** • მიგრაციის შემცირება და იმ ადამიანების რიცხვის ზრდა, რომლებიც ამჯობინებენ ტყიბულში ცხოვრებას. • ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა: ტურისტული შეთავაზების მრავალფეროვნება; • შრომის ბაზარზე და სახელოვნებო სფეროში კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ხელოვანების და სპეციალისტების მომზადება.
აქტივობები	პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი აქტივობები, კერძოდ: 1. **პროექტის სატენდერო პროცედურები** (სატენდერო კომისიის შეკრება;სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება; სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსება; შერჩევა -შეფასების ეტაპის განხორციელება; გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა; გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებატების რეალიზაციის შესაძლებლობა) 2. **პროექტის განხორციელების ეტაპი** (სამუშაოთა შესრულების კონტროლის განხორციელება ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანიის მიერ; სამუშაოთა შესრულების კონტროლის განხორციელება მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ) 3. **შესრულებული სამუშაოების ჩაბარება** (მიღება-ჩაბარების აქტის კომისიური წესით განხილვა; ზედამხედველის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება; დასრულებულ სამუშაოების შესახებ საერთო ანგარიშის მომზადება.)

პროექტის შინაარსი	
	4. პროექტის პარტნიორებთან დადებული მემორანდუმით აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი შეფასება და მონიტორინგი; 5. ახალი სასწავლო პროგრამების დამუშავება და დანერგვა; 6. მერის ბრძანებით ფორმირებული სამუშაო ჯგუფის შეკრება 2 თვეში ერთხელ; 7. ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის გახსნა და პრეზენტაცია; 8. განხორციელებული პროექტის პოპულარიზაცია და პიარკამპანია;
სამოქალაქო სექტორის ინიციატივები	პროექტის ინიცირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამოქალაქო სექტორის, სამხატვრო სკოლის პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურობამ, რამდენადაც პროექტი პირდაპირ ეხმიანება მათ საჭიროებას, არსებობს დაინტერესებულ პირთა საკმაოდ დიდი წრე, რომელიც დაინტერესებულია აღნიშნული პროექტის განხორციელებითა და მისი მდგრადობის შენარჩუნებით. სპეციალურად პროექტისთვის ორგანიზებულ კრებაზე მოხდა აღნიშნული პროექტის განხორციელების აუცილებლობასთან დაკავშირებული საჭიროებების განხილვა. *(იხ. დანართი #2 კრების ოქმი)*
ხელშეკრულება	სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისა და ინვენტარის შესყიდვის ხელშეკრულება.

ვადები და ბიუჯეტი	
პროექტის მომზადების ეტაპები	აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის მომზადებულია პროექტის ტექნიკური გეგმა, დეტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ექსპერტის ოფიციალური დასკვნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეფასების შესახებ.
განხორციელების ვადა	8 თვე
ბიუჯეტი ლარში (სავარაუდო)	545 000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
დაფინანსების წყაროები	ჩამოთვალეთ დაფინანსების სავარაუდო წყაროები და თანხის (მიახლოებითი) რაოდენობა, მაგალითად: • განმცხადებელი – 5450 ლარი (1%) • CESL პროექტი – 529 550 ლარი (97.2%) • კომპანია „საქნახშირი“ – 10 000 ლარი (1.8%)

პასუხისმგებლობები	
პროექტის განხორციელების პროცესში	პროექტით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მოხდება მუნიციპალიტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით. პროექტის დანიშნულებისამებრ განხორციელებაზე სრულად პასუხისმგებელი იქნება მუნიციპალიტეტი შესაბამის სამსახურებთან ერთად. პროექტის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ტყიბულის რეგიონის განვითარების ცენტრი“ პასუხისმგებელი იქნება ინოვაციების ცენტრის ფორმირებასა და მის ფუნქციონირებაზე, მუნიციპალიტეტთან და ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის მენეჯმენტთან შეთანხმებით.
პროექტის დასრულების შემდეგ	ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი მერიის ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის („კულტურის ობიექტების გაერთიანება“) დაქვემდებარებაში იქნება, შესაბამისად პროექტის ფუნქციონირება და მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით. დაგეგმილი ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა დღეისათვის ა(ა)იპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების სამხატვრო სკოლის“ სახელითაა წარმოდგენილი. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ მოხდება ცვლილება, რომელიც დამტკიცდება საკრებულოს სხდომაზე, სკოლა შეიცვლის სახელს და ა(ა)იპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის“ სახით განაგრძობს ფუნქციონირებას. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 25), არასამეწარმეო იურიდიული პირი (ა(ა)იპ) უფლებამოსილია ახორციელებდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობასაც, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ა(ა)იპ-ის მიზნების რეალიზაციას. ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლაში რეალიზებული მატერიალური/ინტელექტუალური პროდუქციიდან მიღებული თანხა გადაირიცხება ა(ა)იპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ ხაზინაში და მოხმარდება საკუთრივ ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის განვითარებას. პროექტის განხორციელების შემდგომ ახალი სერვისების შესაქმნელად და ინიციატივების გასაცნობად მერიას აქტიური ურთიერთობა ექნება დაინტერესებულ პირებთან სამოქალაქო საზოგადოებიდან და ბიზნეს სექტორიდან.
საკუთრება/ქონებაზე ხელმისაწვდომობა	შენობა მიმდებარე სივრცით, სადაც პროექტი უნდა განხორციელდეს, წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას (საკადასტრო კოდი: 39.01.24.106) იხ. *დანართი #3 საჯარო რეესტრის ამონაწერი*

რეგიონული და ინტეგრირებულობის ასპექტები	
რეგიონული მასშტაბი	პროექტის შედეგად მოწყობილი თანამედროვე სტანდარტების ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრი უმასპინძლებს საგანმანათლებლო პროექტებს, ვორქშოფებს, გამოფენებს სხვადასხვა რეგიონებიდან.
ადგილობრივი ასპექტები	ქალაქ ტყიბულს გააჩნია მკაფიო იდენტობა, როგორც ქვანახშირის მწარმოებელ ქალაქს. თუმცა, გვსურს, აღნიშნულის შენარჩუნების პარალელურად შევძლოთ ქალაქის კონცეფციის გადააზრება ურბანული თუ ტურისტული მიმართულებით, გამოვიყენოთ მისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და შესაძლებლობები. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ეკონომიკური და კულტურული მიზიდულობის არეალისა და ინფრასტრუქტურის განვითარებით საჭიროებებზე მორგებული მდგრადი ურბანული სივრცეების შექმნას. შესაბამისად, ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის შექმნის პროექტი

რეგიონული და ინტეგრირებულობის ასპექტები	
	თანხვედრაშია ტყიბულის მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ ხედვასთან. პროექტი, განხორციელების შემდეგ ერთი მხრივ, ტყიბულში, როგორც პოსტინდუსტრიულ ქალაქში მულტიფუნქციურ სივრცეს შეთავაზებს ახალგაზრდებს, მეორე მხრივ, კი ქალაქის ურბანული განახლების პროცესში კატალიზატორის ფუნქციას შეითავსებს.
მულტი სექტორული	განხორციელებული პროექტი მრავალმხრივ სარგებელს მოიტანს ქალაქისთვის: • მოძველებული, გამორჩეული არქიტექტურის მქონე შენობა რეაბილიტირდება და მულტიფუნქციურ დატვირთვას შეიძენს • მზარდი მოთხოვნის შესაბამისად გაიზრდება ახალგაზრდების წვდომა სამხატვრო სკოლაზე და მათ ინოვაციური მიდგომების გაცნობის საშუალება ექნებათ; • სოციალური თვალსაზრისით, ადაპტირებული შენობა შშმ პირებს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად ისარგებლონ ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრით
რამდენად კვალიფიცურია „კოალიცია"	სამუშაო ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს პროექტის შემუშავებაში, განხორციელებასა და განხორციელებული პროექტის შედეგების შემდგომი მართვის პროცესში, ფლობს მრავალწლიან გამოცდილებას და შესაბამის კვალიფიკაციას, რისი დასტურიც არაერთი მოპოვებული გრანტი და წარმატებით დასრულებული პროექტია (მათ შორისაა პროექტის "ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის" ფარგლებში მოპოვებული გრანტი (EU4ITD); საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული არაერთი დაფინანსება(PIRDP)) და ა.შ. ამ კუთხით წარმატებული მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უახლოეს წარსულში ტყიბულის მუნიციპალიტეტი მოხვდა იმ პირველ 11 მუნიციპალიტეტს შორის, სადაც 2023 წელს USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა დაიწყებს მუშაობას. მუნიციპალიტეტის მერია ასევე აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია - ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდთან(TDDF), რომელიც გამოირჩევა სამოქალაქო ინიციატივების სიმრავლით. სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციის კუთხით და ახალგაზრდების როლის წინ წამოწევით, ორგანიზაცია მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში მერია აქტიურად ითანამშრომლებს ორგანიზაციასთან და მოხდება ერთობლივად სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი
დავით ჩერქეზიშვილი
30.06.2023